№1117 2015 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

1. ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ვაკე-5-ს“ (ს/კ 204852677) შორის მიმდინარე სასამართლო დავის (საქმე №3/4356-11) შეწყვეტასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე თანდართული მორიგების აქტის პროექტი.

2. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ქ.

თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირ №44-ში მდებარე უძრავი ქონებების (ს.კ: №01.14.11.005.003.01.542, №01.14.11.005.003.01.543) სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, შპს ,,ვაკე-5-თან“ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მორიგების აქტის პროექტითა და ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქონების შპს „ვაკე-5-ის“ მიერ მიღების შემთხვევაში, მისთვის დარიცხული საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**